ურთიერთშეთანხმების აქტი #1

ქ. თბილისი

03 იანვარი 2017 წ

ერთის მხრივ, **სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის **თამარ ბაგრატიას** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **თემურ კოხიძის** სახით, მხარეთა შორის 2016 წლის 16 ნოემბერს გაფორმებულ **NCT-111601** ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.4 პუნქტის თანახმად შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მიმწოდებელი აწვდის ,,შემსყიდველს'' საქონელს 2016 წლის 16 ნოემბრიდან 13 იანვრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში;
2. ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 17 თებერვლამდე;
3. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შედის 2017 წლის 09 იანვრიდან;
4. შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი ეგზემპლიარი შემსყიდველს;
5. შეთანხმება წარმოადგენს NCT-111601 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

,,შემსყიდველი"
სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"

თამარ ბაგრატია
სააგენტოს უფროსი

„მიმწოდებელი"
შპს „თეგეტა მოტორსი"

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი